**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ბრძანება № 01-08/90**

ქ. ბათუმი

19 ოქტომბერი, 2017 წ.

**ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნების გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13, 25-ე მუხლებისა და ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გიორგი დიასამიძის 2017 წლის 22 სექტემბრის MES 3 17 01272293 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის ( 1 სტუდენტი) არჩევნები ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების დარჩენილი ვადით ( 2014 წლის 14 ნოემბერში არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით 2018 წლის 15 ნოემბრამდე).
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის არჩევნები ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე ჩატარდეს 2017 წლის 07 ნოემბერს (არჩევნები -კენჭისყრა იწყება 10 საათზე და მთავრდება 17 საათზე), კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N13) 2017 წლის 23 ოქტომბრიდან – 2017 წლის 03 ნოემბრის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა 10 საათიდან 16 საათამდე;
3. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:
   ა) განცხადება;
   ა) პირადობის მოწმობის ასლი;
   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.
4. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
5. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანს დაევალოს არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახის გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2017 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით (ბსუ-ს წესდების 45-ე მუხლის შესაბამისად).
6. ბრძანება ჩაბარდეს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანს, განთავსდეს ბსუ-სა და ფაკულტეტის საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი

მ. ხალვაში